



ბიოლოგიური მრავალფეროვნების საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა

ანგარიში მომზადებულია პროექტის “გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ფარგლებში



პროექტი - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ - ინიცირებულ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ. პროექტს ახორციელებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გაცვლისა და მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობის გზით. გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემა ხელს შეუწყობს, როგორც ეროვნული მიზნების მიღწევას, ისე საერთაშორისო (რიოს სამი კონვენცია) ვალდებულებების შესრულებას.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს გაერო-ს განვითარების პროგრამის შეხედულებათა ამსახველად.



საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა

ბიომრავალფეროვნების ზემოქმედებისა და ტენდენციების მონიტორინგის ეროვნული საჭიროებების შეფასებამ ნათლად წარმოაჩინა, რომ ბიომრავალფეროვნების კარგვის/დეგრადაციის უმთავრესი ფაქტორები დაკავშირებულია გაუმართავ კანონმდებლობასთან/რეგულაციებთან და კანონალსრულების ხარვეზებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა მიმართულია რეგულაციების (პოლიტიკის) ცვლილებებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე. ამისათვის გამოვიყენე ე.წ. “policymix” ფორმატი¹. პირველ ცხრილში შეჯამებულია ანგარიშის „საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა“ შედეგები. მე-2 ცხრილში მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს ბიომრავალფეროვნების საფრთხეების შესამცირებლად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დისკუსია და ანალიზი მოცემულია UNDP-ის პროექტის “Harmonization of Information Management for Improved Knowledge and Monitoring of the Global Environment in Georgia” ფარგლებში მომზადებულ ანგარიშებში: „ბიომრავალფეროვნების კონვენციის მონიტორინგისა და ანგარიშებისათვის საჭირო მონაცემების საჭიროებების ანალიზი“, ა. რუხაძე, 2015 წ. დეკემბერი (Analysis of Data Required for Monitoring and Reporting of the Implementation of Biodiversity Convention at National Level”), და „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენენცია“: ინსტიტუციური მოწყობის და მონიტორინგისა და ანგარიშების შესაძლებლობების შეფასება“, ი. მაჭარაშვილის, 2016, აპრილი.

ცხრილი 1. ბიომრავალფეროვნების საფრთხეები, მიზეზები და მათი გამომწვევი ფაქტორები

ბიომრავალფეროვნების საფრთხეები	ბიომრავალფეროვნების საფრთხეების გამომწვევი მიზეზები	საფრთხის წინაშე მყოფი ბიომრავალფეროვნების კომპონენტი	ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ბიომრავალფეროვნების საფრთხეებს
ჰაბიტატების განადგურება, დეგრადაცია და ფრაგმენტაცია	<ul style="list-style-type: none"> • ტყის არამდგრადი ჭრა • ჭარბი ძოვება • წიაღის მოპოვება 	<ul style="list-style-type: none"> • ტყეები (ჭალის, წაბლის, ბზის, წიწვოვანი, სუბალპური და სხვ.) 	<ul style="list-style-type: none"> • ბიომრავალფეროვნების ღირებულებას არასაკმარისი ყურადღება ექცევა დაგეგმვისა და

¹ მეთოდოლოგიის წყარო: Marlon Flores, Ani Haykuni, Rovshan Abbasov, Irakli Matcharashvili, 2015, Fresh Water Ecosystem Services of the Hydropower Sector in Armenia, Azerbaijan and Georgia, WWF Caucasus program office; Irakli Matcharashvili & Marlon Flores, 2015 Assessment of Fresh Water Ecosystem Services in the Hydropower Sector in Georgia, WWF Caucasus program office.

	<ul style="list-style-type: none"> • ხაზობრივი ინფრასტრუქტურა (გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, მილსადენები და სხვ.) • ჰესები და წყალსაცავები • ეუტროფიკაცია • ტყის ხანძრები • ტყის მავნებლები და დაავადებები 	<ul style="list-style-type: none"> • მდინარეები • დაცული ტერიტორიები • ბუნებრივი სათიბ-სამოვრები • შავი ზღვა • თევზი და წყალთან დაკავშირებული სხვა სახეობები • ძუძუმწოვრები (განსაკუთრებით ჩლიქოსნები, მტაცებლები, წავი) • ფრინველები (განსაკუთრებით მტაცებელი ფრინველები, ლემიჭამიები, წყალმწურავი და მენაპირე ფრინველები) • 	<p>გადაწყვეტილებების მიღების პროცესში</p> <ul style="list-style-type: none"> • წიაღის მოპოვება საქართველოში არ საჭიროებს გზშ-ს • გზშ რეგულაციების და პრაქტიკაში გამოყენების ხარვეზები • სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) არარსებობა • ტყის ფუნქციური დანიშნულების შესაბამისი კატეგორიზაციის (ზონირების) სისტემის არარსებობა • ენერგეტიკისა და წყლის სექტორის ცუდი კანონმდებლობა. ჰესების/კაშხლების მშენებლობა მოძველებული რეგულაციების/ნორმების მიხედვით • სივრცითი დაგეგმვის არარსებობა • ტყის მმართველობის გაუმართავი სისტემა • ადამიანური რესურსების არასაკმარისობა • საჯარო მოსამსახურეთა ცოდნისა და შესაძლებლობების ხარვეზები • პოლიტიკური ნების არარსებობა • ბიომრავალფეროვნებაზე/გარემოზე საბჭოთა პერიოდში აშენებული ჰესების ზეგავლენათან დაკავშირებული ანალიზის არარსებობა • ინტერესთა კონფლიქტები • დაცული ტერიტორიების გარეთ
--	---	---	---

			<p><i>in-situ</i> კონსერვაციის (ბიომრავალფეროვნების დაცვის) რეგულაციების არარსებობა</p> <ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო ინსტიტუციებს კოორდინაციის ხარვეზები • ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგების შესაბამისად კონსერვაციული ქმედებების განუხორციელებლობა • ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგების გაუთვალისწინებლობა რესურსების ათვისებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას (კომერციული თევზჭერის ჩათვლით)
<p>ჭარბი მოპოვება</p>	<ul style="list-style-type: none"> • არამდგრადი ტყის ჭრა • არამდგრადი ნადირობა • არამდგრადი თევზჭერა • არამდგრადი ძოვება • ბრაკონიერობა 	<ul style="list-style-type: none"> • ხე-ტყე • ტყის არამერქნული პროდუქტები, მათ შორის სამკურნალო მცენარეები • თევზი • მსხვილი ძუძუმწოვრები • ფრინველები 	<ul style="list-style-type: none"> • ბიო-რესურსების მოპოვების კვოტების დადგენა არ ხდება სამეცნიერო თვალსაზრისით გამართული მეთოდოლოგიით • არასრულყოფილი მონიტორინგის სისტემა • ცუდი კანონმდებლობა • ინტერესთა კონფლიქტები • გაუმართავი კანონმდებლობა (ნადირობა, თევზჭერა, არამერქნული პროდუქტების მოპოვება, ძოვება, ხე-ტყის დამზადება, მეტყევეობა) • კომერციულ თევზჭერასთან

			<p>დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის არარსებობა</p> <ul style="list-style-type: none"> • დაცული ტერიტორიების გარეთ <i>in-situ</i> კონსერვაციის (ბიომრავალფეროვნების დაცვის) რეგულაციების არარსებობა • სახელმწიფო ინსტიტუციებს კოორდინაციის ხარვეზები • ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგების შესაბამისად კონსერვაციული ქმედებების განუხორციელებლობა • ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგების გაუთვალისწინებლობა რესურსების ათვისებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას (კომერციული თევზჭერის ჩათვლით) • ფინანსური რესურსების ნაკლებობა • ტყის ინვენტარიზაციის არარსებობა • ცხოველთა პოპულაციების ინვენტარიზაციის მონაცემების არასაკმარისობა/არასრულყოფილება
<p>ინვაზიური სახეობები და დაავადებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ზღვის ინვაზიური სახეობები • ტყის მავნებელ-დაავადებები • ძუძუმწოვართა ინვაზიური 	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მცენარეული სახეობები, ტყეები • ზღვის ეკოსისტემები 	<ul style="list-style-type: none"> • ფინანსების ნაკლებობა • ტყის არამდგრადი მართვა • ინვაზიურ სახეობებთან

	<p>სახეობები</p> <ul style="list-style-type: none"> • მცენარეთა ინვაზიური სახეობები 	<ul style="list-style-type: none"> • ჭალის ტყის ეკოსისტემები 	<p>დაკავშირებული კანონმდებლობის არარსებობა</p> <ul style="list-style-type: none"> • ინვაზიურ სახეობებთან დაკავშირებული მონიტორინგის არასაკმარისობა
გარემოს დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> • სოფლის მეურნეობა (პესტიციდები, სასუქები, ნარჩენები) • საყოფაცხოვრებო ნარჩენები • კანალიზაცია, ჩამდინარე წყლები • თბოელექტროსადგურები • წიადის მრეწველობა • კაშხებისთვის დამახასიათებელი დაბინძურება • ტრანსპორტი 	<ul style="list-style-type: none"> • ზღვის ეკოსისტემები • მტკნარი წყლის ეკოსისტემები • წყალჭარბი ტერიტორიები • ნიადაგი • ძუძუმწოვრები • მტაცებელი ფრინველები • დამმტვერავი მწერები 	<ul style="list-style-type: none"> • დაცული ტერიტორიების გარეთ <i>in-situ</i> კონსერვაციის (ბიომრავალფეროვნების დაცვის) რეგულაციების არარსებობა • სახელმწიფო ინსტიტუციებს კოორდინაციის ხარვეზები • გარემოს დაბინძურების ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე არ არის შესწავლილი სამეცნიერო კუთხით
კლიმატის ცვლილება	<ul style="list-style-type: none"> • წიადის მოპოვება/გადამუშავება • არამდგრადი ტყითსარგებლობა (უკონტროლო, გადაჭარბებულიხე-ტყის ჭრა და მოვება) • დაბინძურება • არამდგრადი ენერგეტიკული პროექტები • ინფრასტრუქტურის არამდგრადი განვითარება • ხანძრები • სანაპირო ეროზია • არამდგრადი მოვება 	<ul style="list-style-type: none"> • ტყეები (ჭალის, სუბალპური) • არელების წანაცვლება • მყინვარების დნობის გაძლიერება • წყლის დონის ცვლილებები • ღვარცოფები, მეწყერები და სხვა სტიქიური მოვლენები • ნიადაგის ეროზია 	<ul style="list-style-type: none"> • ენერგოეფექტურობასა და განახლებად ენერჯითთან დაკავშირებული სპეციალური კანონი არ არსებობს; ენერგეტიკის სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ უწოვს ხელს (არ წაახალისებს) ენერგოეფექტურობის განვითარებას. ჰესების მფლობელ კომპანიებს არ გაჩნიათ არიან ეკონომიკური სტიმული, რომ იზრუნონ წყალსაცავების გაწმენდაზე და სხვა გარემოსდაცვით საკითხებზე. ენერგეტიკულ ბაზარზე არსებობს ინტერესთა კონფლიქტები. • ენერგეტიკის მარეგულირებელი

			<p>კანონმდებლობის ხარვეზები</p> <ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო უწყებების ცუდი კოორდინაცია • კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ეკოსისტემური სერვისებზე და ბიომრავალფეროვნებაზე არ არის სამეცნიერო თვალსაზრისით სათანადოდ შესწავლილი
--	--	--	--

ცხრილი 2. Policy mix: კანონმდებლობა, რეგულაციები, პოლიტიკები, შეთავაზებული ცვლილება, პასუხისმგებელი უწყება და დაფინანსების შესაძლო წყარო

ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ბიომრავალფეროვნების საფრთხეებს	კანონი/რეგულაცია სექტორების მიხედვით, რომელიც უნდა შეიცვალოს/შეიქმნას	პრობლემის აღწერა	რეკომენდაცია & შეთავაზებული ცვლილება	შემოთავაზებული ცვლილების შესაბამისობა ეროვნულ პოლიტიკასთან	შემოთავაზებული ცვლილების შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან	პასუხისმგებელი უწყება	დაფინანსების შესაძლო წყარო
<ul style="list-style-type: none"> • ბიომრავალფეროვნების ღირებულებას 	<ul style="list-style-type: none"> • გზმ კანონმდებლობა 	არასრულყოფილი გზმ სისტემა/რეგულაციები და ცუდი დაგეგმვა	ახალი კანონმდებლობის შემუშავება და	ბსმგ ² ; ესკ ³ ;	ევროკავშირთან ასოცირების	ემგს ⁴ , რგის ⁵ , გდბრს, პარლამენტ	სახელმწიფო

² ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020

³ საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია

⁴ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

<p>არასაკმარისი ყურადღება ექცევა დაგეგმვიდა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში</p> <ul style="list-style-type: none"> • წიაღის მოპოვება საქართველოში არ საჭიროებს გზშ-ს • გზშ რეგულაციების და პრაქტიკაში გამოყენების ხარვეზები • სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) არარსებობა • სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის კოორდინაციის ხარვეზები 	<ul style="list-style-type: none"> • სგშ (SEA) კანონმდებლობა • სივრცითი დაგეგმვის კანონმდებლობა /პოლიტიკა 	<p>ზრდის განვითარების პროექტების ღირებულებას, აძლიერებს მათ ზეგავლენას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, აძნელებს საერთაშორისო დაფინანსების მოძიებას. აძლიერებს კონფლიქტებს მთავრობას, პროექტის განმხორციელებლებს, ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოსდაცვით ჯგუფებს შორის;</p> <p>საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმები არაეფექტურია;</p> <p>წიაღის მოპოვება და სხვა საშიში საქმიანობები არ საჭიროებს გზნ-ს;</p>	<p>დამტკიცება.</p> <p>ესპოს კონვენციის რატიფიცირება;</p> <p>საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის პროცედურების გაუმჯობესება;</p> <p>დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზის დანერგვა გადაწყვეტილებების მიღებისას;</p> <p>ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის მექანიზმების დანერგვა;</p> <p>სკრინინგის და სკოპინგის ეტაპების დანერგვა</p> <p>ბიომრავალფეროვნე ბასთან დაკავშირებული</p>	<p>კავკასიის ეკორეგიონული გეგმა;</p> <p>სამთავრობო პროგრამა;</p>	<p>შეთანხმება; ევროკავშირის დირექტივა ბი (სგშ, გზშ, წყლის ჩარჩო დირექტივა, ჰაბიტატები ს დირექტივა);</p> <p>ევროპის ლანდშაფტების კონვენცია. ბერნის კონვენცია;</p> <p>CBD</p>	<p>ი</p>	<p>ბიუჯეტი.</p> <p>ახალი კანონმდებლობის შემუშავება არ საჭიროებს დამატებით დაფინანსებას (კანონპროექტები მომზადებულია)</p>
--	---	---	---	--	---	----------	--

⁵ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

		<p>ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია/კარგვა ძალიან მაღალია;</p> <p>დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი არ კეთდება; ხდება ეკოსისტემური სერვისების დეგრადაცია /დაკარგვა; გარე ეფექტი (Externalities) იზრდება;</p> <p>სივრცულ დაგეგმვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა/რეგულაციები არ არსებობს ან სუსტია, არ სრულდება. ეს წარმოშობს კონფლიქტს განვითარების</p>	<p>კრიტერიუმების შემუშავება/დანერგვა სკოპინგის სტადიაზე;</p> <p>სგშ კანონმდებლობის შემუშავება/დამტკიცება; დანერგვის მექანიზმების შემუშავება. სივრცულ დაგეგმვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის/რეგულაციების შემუშავება; დანერგვის მექანიზმების განვითარება</p> <p>„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, „ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონის“ და „ტყის კოდექსის“ პროექტების ჰარმონიზება</p>				
--	--	---	--	--	--	--	--

		<p>პროექტებსა და გარემოსდაცვით/კონსერვაციულ ინტერესებს შორის.</p> <p>სივრცულ დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ (2005 წლის 2 ივნისი, N 1506 -ის). კანონის თანახმად, შემუშავებული უნდა იქნას სივრცითი მოწყობის გეგმები მთელი ქვეყნის, მუნიციპალიტეტის და დასახლების დონეზე. გეგმამ უნდა განსაზღვროს მათი სივრცით-ტერიტორიული სტრუქტურა, რაც, სხვა</p>					
--	--	--	--	--	--	--	--

		<p>საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს ტყისა და სატყეო მიწებსაც, კერძოდ: სარეკრეაციო და საკურორტო ტერიტორიებს; დაცული ტერიტორიების სისტემას; სოფლის მეურნეობის განვითარების ტერიტორიებს; სატყეო მასივის დაცვისა და განვითარების ტერიტორიებს; წიაღისეულის მოპოვების ადგილებს; წყლის ობიექტებს და წყალშემკრებ ტერიტორიებს. რეგულაციები ძალზე ზოგადი და არამკაფიოა. ბუნებრივი რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი უწყებები პრაქტიკულად არ</p>					
--	--	--	--	--	--	--	--

		<p>იყენებენ ამ კანონს.</p> <p>ჰესების მშენებლობა ხელუხლებელ ეკოსისტემებში, მათ შორის დაცულ ტერიტორიებში და სხვა მოწყვლად ადგილებში.</p> <p>ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების ჰარმონიზაცია პრობლემური ხდება;</p> <p>ბევრი პროექტების განვითარება ერთ ტერიტორიაზე ერთ არეალში პროექტების კონცენტრაცია იწვევს ძლიერ კუმულატიურ ეფექტს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, მათ შორის ადამიანის ჯანმრთელობაზე.</p>					
<p>ცუდი სატყეო მმართველობა</p> <p>ტყის კატეგორიზაციის</p>	<p>სატყეო კანონმდებლობა</p>	<p>ტყის ჰაბიტატების კარგვა, ფრაგმენტაცია, დეგრადაცია, წიაღის მოღვევა ტყეებში, ჭარბი მოპოვება,</p>	<p>ტყეების ზონირება-კატეგორიზაცია მათი ფუნქციური დანიშნულების</p>	<p>ბსმგ;</p> <p>ესკ;</p>	<p>ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება;</p>	<p>გდბრს, პარლამენტი</p>	<p>სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორები (GIZ,</p>

<p>(ზონირების) სისტემის არარსებობა</p> <p>ტყის არასწორი მართვა</p>		<p>მაკროეკოლოგიური-დაავადებები, ხანძრები, ჭარბი მოვება</p>	<p>მიხედვით. სტრატეგიული ზონირების შედეგად საქართველოს ტყეების მთელი ფართობი უნდა დაიყოს დაცულ დაცვით და სხვა კატეგორიების ტყეებად.</p> <p>ტყეების კატეგორიზაციის შედეგების შესაბამისად უნდა გაიზარდოს დაცული ტერიტორიების ფართობი, მათ შორის „ზურმუხტის ქსელი. ოფიციალურად დაცული ტერიტორიების დაარსებამდე დაცული კატეგორიის ტყეებს უნდა მიენიჭოს სარეზერვო დაცული</p>	<p>გდმეპ-2⁶</p> <p>კავკასიის ეკორეგიონული გეგმა;</p>	<p>ევროპის ლანდშაფტების კონვენცია. ბერნის კონვენცია;</p> <p>CBD</p> <p>MCPFE</p>		<p>UNDP, WB, და სხვ.)</p>
--	--	--	---	---	--	--	----------------------------

⁶ National Environmental Action Program

			ტერიტორიის სტატუსი. ტყის მდგრადი მართვის სტანდარტების შემუშავება				
<p>გაუმართავი კანონმდებლობა (ნადირობა, თევზჭერა, არამერქნული პროდუქტების მოპოვება, ძოვება, ხე-ტყის დამზადება, მეტყევეობა)</p> <p>ბიო-რესურსების მოპოვების კვოტების დადგენა არ ხდება სამეცნიერო თვალსაზრისით გამართული მეთოდოლოგიით</p>	<p>ბიომრავალფეროვნების დაცვის კანონმდებლობა</p> <p>სატყეო კანონმდებლობა</p> <p>ნადირობისა და თევზჭერის კანონმდებლობა</p>	<p>ჭარბი მოპოვება, ბრაკონიერობა, ეკოსისტემური სერვისების დეგრადაცია/განადგურება</p>	<p>ახალი კანონმდებლობის შემუშავება დამტკიცება, რომელიც არეგულირებს (ნადირობა, სატროფეო ნადირობას, სამონადირეო მეურნეობებს, თევზჭერას, არამერქნული პროდუქტების მოპოვებას, ძოვებას, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობას და სხვ.</p> <p>ბიო-რესურსების მოპოვების კვოტების დადგენის მეთოდოლოგიის შემუშავება და დამტკიცება</p>	ბსმგ;	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება; CBD	გდბრს, პარლამენტი	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორები (GIZ, UNDP, WB, და სხვ.)

			კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული რეგულაციების გამკაცრება და პრაქტიკის გაუმჯობესება; საჯარო დაწესებულებების შესაძლებლობათა გაძლიერება				
დაცული ტერიტორიების გარეთ <i>in-situ</i> კონსერვაციის (<i>ბიომრავალფერ ოვნების დაცვის</i>) რეგულაციების არარსებობა ინვაზიურ სახეობებთან დაკავშირებული კანონმდებლობი ს არარსებობა	სატყეო კანონმდებლობა ბიომრავალფეროვ ნების დაცვის კანონმდებლობა დაცული ტერიტორიების კანონმდებლობა	ბიომრავალფეროვნები ს კარგვა დაცული ტერიტორიების გარეთ არსებული დაცული ტერიტორიების არასაკმარისობა ბიომრავალფეროვნები ს საშირო დონეზე დასაცავად	ტყეების კატეგორიზაცია „ზურმუხტის ქსელის“ დაარსება- განვითარება	ბსმგ; ესკ	ევროკავშირ თან ასოცირების შეთანხმება; ევროპის ლანდშაფტე ბის კონვენცია. ბერნის კონვენცია; CBD MCPFE	გდბრს, პარლამენტ ი	სახელმწი ფო ბიუჯეტი, დონორებ ი (GIZ, UNDP, WB, და სხვ.)
ენერგოეფექტურ იბის კანონმდებლობი ს არარსებობა ენერგეტიკისა და	ენერგეტიკის სექტორი წყლის სექტორი	წყლის „სანიტარული ხარჯის“ დაანგარიშების სისტემა, რომელიც გულისხმობს ჰესების მშენებლობისას	ჰესების პროექტებისათვის წყლის ეკოლოგიური ხარჯის დადგენის მეთოდის დამტკიცება	კლიმატის ცვლილების ეროვნული შეტყობინებ ა	ევროკავშირ თან ასოცირების შეთანხმება;	გდბრს, ენერგეტიკი ს სამინისტრო , პარლამენტ	სახელმწი ფო ბიუჯეტი, დონორებ ი

<p>წყლის სექტორის არასრულყოფილი კანონმდებლობა</p>		<p>მდინარის საშუალო მრავალწლიანი ხარჯის მხოლოდ 10%-ის დატოვებას ბუნებრივ კალაპოტში</p> <p>რესურსების არამდგრადი გამოყენება (მათ შორის შეშა და ჰიდრორესურსები)</p> <p>ენერგოუსაფრთხოება</p>	<p>თანამედროვე სტანდარტების და ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად</p> <p>ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგეტიკის შესახებ საკანონმდებლო პაკეტის შემუსავება და დამტკიცება</p>	<p>გდმეპ-2 ბსმგ</p>	<p>ევროპის ლანდშაფტების კონვენცია. ბერნის კონვენცია; CBD UNFCCC</p>	<p>ო</p>	
<p>ბიომრავალფეროვნებაზე/გარემოზე საბჭოთა პერიოდში აშენებული ჰესების ზეგავლენათან დაკავშირებული ანალიზის არარსებობა</p>	<p>ცვლილებები კანონმდებლობაში, რომლებიც არეგულირებენ ენერგეტიკის, მშენებლობის, წყლის, გზის სექტორებს</p>	<p>ჰაბიტატების დაკარგვა, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია, დაბინძურება, ეკოსისტემური სერვისების კარგვა, სანაპირო ეროზია</p>	<p>დამოუკიდებელი კვლევების განხორციელება</p>	<p>ბსმგ</p>	<p>ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება; ევროპის ლანდშაფტების კონვენცია. ბერნის კონვენცია; CBD</p>	<p>NGOs, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები</p>	<p>დონორები, სახელმწიფო ბიუჯეტი (სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შემთხვევაში)</p>
<p>სახელმწიფო ინსტიტუციებს კოორდინაციის ხარვეზები</p>	<p>ადმინისტრაციული კოდექსი სისხლის სამართლის კოდექსი</p>	<p>არამდგრადი განვითარება ელიტური კორუფცია</p>	<p>პარლამენტისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლის გაძლიერება: 1. სამთავრობო</p>	<p>სამთავრობო პროგრამა;</p>	<p>კორუფციასთან ბრძოლასთან დაკავშირებული</p>	<p>პარლამენტი სახელმწიფო აუდიტის სამსახური</p>	<p>დონორები სახელმწიფო ბიუჯეტი</p>

<p>ინტერესთა კონფლიქტები</p>	<p>კორუფციასთან ბძოლასთან დაკავშირებული კანონმდებლობა</p>		<p>პროგრამების, სახელმწიფო პოლიტიკისა და საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგის საკითხში. 2. ინტერესთა კონფლიქტებთან დაკავშირებული კანონის აღსრულების მონიტორინგის საკითხებში</p> <p>დამოუკიდებელი გამოძიებები</p>		<p>საერთაშორ ისო შეთანხმებე ბი/კონვენცი ები</p>	<p>შსს პროკურატ ურა სახალხო დამცველი მედია NGOs</p>	
<p>ბიომრავალფერო ვნების მონიტორინგის შედეგების შესაბამისად კონსერვაციული ქმედებების განუხორციელებ ლობა</p>	<p>ბიომრავალფეროვ ნების კონსერვაციისა და მონიტორინგის საკითხების მარეგულირებელ ი კანონმდებლობა (კანონქვემდებარე და ინდივიდუალურ</p>	<p>ჰაბიტატების დაკარგვა, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია, ეკოსისტემების სერვისების კარგვა, ჭარბი მოპოვება, უცხო სახეობები</p>	<p>ბიომრავალფეროვნე ბის მონიტორინგის კრიტერიუმების/ ინდიკატორების რევიზია</p> <p>საჯარო ინსტიტუტების კოორდინაციის გაუმჯობესება</p>	<p>ბსმგ</p>	<p>ევროკავშირ თან ასოცირების შეთანხმება; CBD</p>	<p>გდბრს, NGOs, სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტე ბი</p>	<p>დონორებ ი სახელმწი ფო ბიუჯეტი</p>

<p>ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგების გაუთვალისწინებლობა რესურსების ათვისებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას (კომერციული თევზჭერის ჩათვლით)</p> <p>არასრულყოფილი მონიტორინგის სისტემა</p> <p>ინვაზიურ სახეობებთან დაკავშირებული მონიტორინგის არასაკმარისობა</p>	<p>ი აქტების ჩათვლით)</p>		<p>შესაძლებლობათა გაძლიერება</p>				
<p>კომერციულ თევზჭერასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის არარსებობა</p>	<p>ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა (კანონქვემდებარე და ინდივიდუალურ</p>	<p>ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, დეგრადაცია, ეკოსისტემების სერვისების კარგვა, ჭარბი მოპოვება</p> <p>კომერციული თევზჭერის საკითხები</p>	<p>კომერციული თევზჭერის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის - დამოუკიდებელი კვლევის ჩატარება</p>	<p>ბსმგ არ მოიცავს ამ საკითხს - ბსმგ ნაკლოვანება</p>	<p>ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება; CBD</p>	<p>გდბრს, NGOs,</p>	<p>სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორები (GIZ, UNDP, WB, etc</p>

	ი აქტების ჩათვლით)	არასრულყოფილად იყო ასახული ბსმგ - ში. სამწუხაროდ, ამგვარი ანალიზის არარსებობა მნიშვნელოვნად განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ახალი კანონპროექტების მომზადებისას კომერციული თევზჭერის საკითხები არ იქნა შეტანილი (საზოგადოებისათვის ცნობილ კანონპროექტებში). etc.) ამგვარი ანალიზის არარსებობა ასევე განაპირობებს, რომ კომერციულ თევზჭერასთან დაკავშირებით მიღებული სამთავრობო გადაწყვეტილებები და უსაბუთებელია და ბევრ კითხვას ზადებს.					
ტყის ინვენტარიზაციის არარსებობა	-----	ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, დეგრადაცია, ეკოსისტემების სერვისების კარგვა,	ტყის ინვენტარიზაციის ჩატარება	ბსმგ; ესკ გდმეკ -2	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება;	გდბრს, NGOs, სამეცნიერო	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორები (GIZ,

		ჭარბი მოპოვება			CBD სესკCC	-კვლევითი ორგანიზაც იები	UNDP, WB, და სხვ.)
ცხოველთა პოპულაციების ინვენტარიზაციის მონაცემების არასაკმარისობა/ა რასრულყოფილე ბა	----- -	ბიომრავალფეროვნები ს დაკარგვა, დეგრადაცია, ეკოსისტემების სერვისების კარგვა, ჭარბი მოპოვება	ინვენტარიზაციის სამუსაოების განხორციელება	ბსმგ; გდმეპ -2	ევროკავშირ თან ასოცირების შეთანხმება; CBD	გდბრს, NGOs, სამეცნიერო -კვლევითი ორგანიზაც იები	სახელმწი ფო ბიუჯეტი, დონორებ ი (GIZ, UNDP, WB, და სხვ.)
კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ეკოსისტემური სერვისებზე და ბიომრავალფერო ვნებაზე არ არის სამეცნიერო თვალსაზრისით სათანადოდ შესწავლილი	ბიომრავალფეროვ ნების კონსერვაციის საკითხების მარეგულირებელ ი კანონმდებლობა	ბიომრავალფეროვნები ს დაკარგვა, დეგრადაცია	სამეცნიერო და საჯარო პოლიტიკის კვლევითი ნაშრომების მომზადება	ბსმგ; გდმეპ -2 კლიმატის ცვლილების ეროვნული შეტყობინებ ა გაუდაბნოებ ასთან ბრძოლის კონვენციის ეროვნული ანგარიში	ევროკავშირ თან ასოცირების შეთანხმება; CBD UNFCCC UNCCD	გდბრს, NGOs, სამეცნიერო -კვლევითი ორგანიზაც იები	სახელმწი ფო ბიუჯეტი, დონორებ ი (GIZ, UNDP, WB, etc
გარემოს დაბინძურების ზეგავლენა ბიომრავალფერო ვნებაზე არ არის	ბიომრავალფეროვ ნების კონსერვაციის საკითხების მარეგულირებელ	სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დაბინძურება, სოფლის მეურნეობის შედეგად	სამეცნიერო და საჯარო პოლიტიკის კვლევითი ნაშრომების მომზადება		ევროკავშირ თან ასოცირების შეთანხმება;	გდბრს, სმს ⁷ რგის	სახელმწი ფო ბიუჯეტი, დონორებ ი (GIZ,

⁷ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შესწავლილი სამეცნიერო კუთხით	ი კანონმდებლობა ნარჩენების მართვის კანონმდებლობა გზმ კანონმდებლობა	დაბინძურება, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ეკოსისტემურ სერვისებზე; ეკოსისტემების დეგრადაციაზე მოქმედებს ტურიზმი, ახალი დასასვენებელი კომპლექსებისა და კურორტების განვითარება და სხვ.			CBD	NGOs, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები	UNDP, WB, და სხვ.)
------------------------------	---	---	--	--	-----	---	--------------------